იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანობის კანდიდატის გიორგი გოცირიძის კონცეპცია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესახებ

ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის წონას საზოგადოების თვალში განაპირობებს მისი ფაკულტეტების სიძლიერე, ის ფაქტი, თუ რამდენად ღირებულ განათლებას იძლევა ეს თუ ის საგანმანათლებლო პროგრამა. თვალი რომ გადავავლოთ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიას, დავინახავთ, რომ სწორედ ჩვენი ფაკულტეტი გახლდათ ის მთავარი ღერძი, რომლის ბაზაზეც არსებობდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თითოეულ ჩვენთაგანს და მეც, მათ შორის, კარგად უნდა გვქონდეს გააზრებული, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი წამყვანი სტრუქტურული ერთეულია და შესაბამისად, უნივერსიტეტის წინსვლა მასზე პირდაპირ აისახება და პირიქით, ფაკულტეტის მიერ მიღწეული ყველა წარმატება უნივერსიტეტის წარმატებას განაპირობებს. სწორედ ამ განწყობით ვიყრი კენჭს ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე და განსახილველად წარმოგიდგენთ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების ჩემეულ კონცეპციას.

ჩვენი საქმიანობა რამდენიმე მიმართულებაზე იქნება კონცენტრირებული: სწავლება და სწავლა, კვლევა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სოციალური პირობების გაუმჯობესება. ყოველივე ეს ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, რაც უნდა აისახოს ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში, რომლის შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა, ადმინისტრაციულმა პერსონალმა, პოტენციურმა დამსაქმებლებმა, კურსდამთავრებულებმა, სკოლებმა, აბიტურიენტებმა. პირველ ეტაპზე, უნდა მოხდეს ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების დადგენა, გამორკვევა და გაზიარება. ეს აქტივობა გარდა თავისი ინსტიტუციონალური შინაარსისა, მიმართული იქნება იმისაკენ, რომ საფაკულტეტო ცხოვრებასა და წარმატებაში მაქსიმალურად ჩაერთვნენ საზოგადოების ფართო ფენები, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ პიარს გაუწევს ჩვენს საქმიანობას და დაგვეხმარება აბიტურიენტების მოზიდვაში. გეგმა ზუსტად უნდა ასახავდეს ფაკულტეტის ძირითად პრობლემატიკას, მისი დაძლევის გზებს, განვითარებისა და წარმატების მიდგომებს. სტრატეგიული განვითარების გეგმა უნდა ასახავდეს ფაკულტეტის ძირითადი

გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზებსა და სტრატეგიებს, ფაკულტეტის რეალურ და ფართოდგაზიარებულ მისიას, საუნივერსიტეტო ღირებულებებს, პრინციპებს, როგორებიცაა, სწავლის მიმართ თავდადება, სტუდენტის განვითარება, აკადემიური თავისუფლება, უწყვეტი სწავლის პრინციპი, კრეატიულობის და ინოვაციის წახალისება, ეფექტური გუნდის ფორმირება და ა.შ.

სტრატეგიული გეგმის მიზნებისა და ამოცანების მიხედვით ჩამოყალიბებული სამოქმედო გეგმის თანახმად პერიოდულად უნდა მოხდეს ძირითადი თვისობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორების, ეტაპების მიღწევის, შესრულებული სამუშაოს და პროგრესის ხარისხის შემოწმება (კვირეული, თვიური, ყოველკვარტალური მონიტორინგი). მოცემული კონცეფციის სხვადასხვა პუნქტები ქრონოლოგიურად და მეთოდოლოგიურად იქნება ინტეგრირებული უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში.

საწყის ეტაპზე უნდა მოხდეს ფაკულტეტის დებულების ოპტიმიზაცია. ფაკულტეტის მენეჯმენტის ძალისხმევა უნდა მიმართული იყოს შიდასაფაკულტეტო გუნდის ფორმირებისაკენ, რომელსაც ექნება კონსტრუქციული ხასიათი და მიმართული იქნება პრობლემების და კონფლიქტების გადაჭრაზე. გადაწყვეტილებების მიღება უნდა ხდებოდეს მაქსიმალურად დემოკრატიულად, სამართლიანად, მოლაპარაკების გზით აკადემიური თავისუფლებისა და სხვა საუნივერსიტეტო პრინციპებზე დაყრდნობით.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხისა და რაოდენობის ზრდა ჩემი საქმანობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად მიმაჩნია. დღეისათვის ფაკულტეტზე სამივე საგანმანათლებლო საფეხური ფუნქციონირებს. პროგრამებს, რომლებსაც სტუდენტებს შევთავაზებთ თანამედროვე განათლების სისტემაზე და საერთაშორისო გამოცდილებაზე უნდა იყოს დაფუძნებული. არსებული ადამიანური რესურსის გამოყენებით ადვილი შესაძლებელია აკადემიურ პროგრამებს რუსული ფილოლოგიის, არქეოლოგიის და თარგმანმცოდნეობის სპეციალობები დავუმატოთ, გავამრავალფეროვნოთ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, ამავე დროს შევიმუშავოთ უმაღლესი პროფესიული განათლების პროგრამები ადამიანური რესურსების მართვაში, გიდებისა და თარჯიმანი-რეფერენტების მომზადებაში, გარდა ამისა, ორგანიზება გავუკეთოთ პრაქტიკული მომზადების კურსებს. აღნიშნული აქტივობების განხორციელების შედეგად ჩვენს ფაკულტეტზე ოთხივე საგანმანათლებლო საფეხური იქნება წარმოდგენილი. ყველაფერი ეს მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს ფაკულტეტის ფინანსურ მდგომარეობას, რაც სასიკეთოდ აისახება პროფესორ-მასწავლებელთა სოციალურ მდგომარეობაზე. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საგანმანათლებლო პროგრამები უნდა გადაიხედოს პროფორიენტაციის პოზიციიდან, ის თეორიული ცოდნის მიცემასთან ერთად, პროფესიული კარიერისათვის მზადებასაც უნდა

გულისხმობდეს, სასწავლო გეგმა ისე უნდა იყოს შემუშავებული, რომ დასაქმების ბაზარს მოერგოს. ამ მიზნით, ზემოთდასახელებულ სუბიექტებთან თანამშრომლობა მეტად საჭირო და საშურია. უმაღლესი განათლების კანონი გვაძლევს საშუალებას ჩვენი ფაკულტეტის ყველა საბაკალავრო პროგრამაში მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შევიტანოთ, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს ერთდროულად პროფესიასაც დაეუფლნონ. ამ პროგრამის ამუშავება არსებულ პროგრამებში გარკვეულ ცვლილებებს შეიტანს, მაგრამ ეს განხორციელდება სტუდენტებისა და მთელი აკადემიური პერსონალისათვის საკეთილდღეოდ და მათი ინტერესების გათვალისწინებით.

ამავე დროს, უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებს უნდა შევთავაზოთ საგნები, რომლებიც დაეხმარება კონკრეტული სპეციალობის სტუდენტს მაღალი დონის პროფესიონალად ჩამოყალიბებაში. უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს პროფესიები, მათ შორის ბიზნესშიც, სადაც ჰუმანიტარული მეცნიერებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მაგ. ბიზნესში აუცილებელია მუშაობდეს კრიტიკულად მოაზროვნე და წერილობითი ფორმით აზრის ნათლად გადმოცემის უნარის მქონე ადამიანი.

აბიტურიენტების მოზიდვა ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება. გარდა ზემოთ აღწერილი საქმიანობებისა, რაც უდავოდ, უნივერსიტეტში სტუდენტების მოზიდვას ემსახურება, საჭიროდ მიგვაჩნია სკოლებთან მჭიდრო კავშირების დამყარება, საზაფხულო პროგრამების დამუშავება - მათ შორის საზაფხულო უნივერსიტეტის ამუშავება უფროსკლასელებისათვის და ინტენსიური სასწავლო კურსების ჩატარება. სასურველია, გადაიხედოს მოთხოვნადი უნარ-ჩვევები ბაზარზე და მისაღებ ფასად რამდენიმე კურსის გავლა შეეძლოს ნებისმიერ მოქალაქეს, განურჩევლად ასაკისა. ერთ სემესტრიანი პროგრამების მომზადება. ამ კუთხით უნდა განვიხილოთ მუშაობა უცხოენოვანი აბიტურიენტების მოზიდვის მიზნით, რისთვისაც აუცილებელია რუსულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავება. კავშირები ამ მიმართულებით გავქვს. ეს გაზრდის ფინანსურ ნაკადებს ფაკულტეტის ბიუჯეტში.

უცხო ენებისა და პროფესიული გადამზადების ცენტრის ბაზაზე TOEFL/IELTS/SAT მოსამზადებელი კურსების შექმნა, გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მხარდაჭერის ცენტრის გახსნა, სადაც სტუნდეტები მიიღებენ საჭირო კონსულტაციებს საბუთების შევსება-მომზადების, სასწავლებელის შერჩევის, პროგრამული ვალდებულებებისა და პროგრამის შესაბამისობის შესახებ.

სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვან ფაქტორებად მიგვაჩნია:
1.საკონტაქტო საათების გაზრდა მაპროფილებელ საგნებში;

2. აკადემიური პერსონალის საათობრივი დატვირთვის შემცირება (პროფესორს მეტი დრო უნდა ჰქონდეს თავის თავზე სამუშაოდ);

3.პერიოდულად დარგის წამყვანი სპეციალისტების მოწვევა კონკრეტულ მეცნიერებაში უახლესი მიღწევების გაცნობის მიზნით; ადგილობრივი პროფესურის დატრენინგება აკადემიური კარიერის განვითარების ხელშეწყობაში, სალექციო კურსებში ახალი მიდგომების შემუშავებაში, საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობის ხელშეწყობაში;

4. მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში და სამეცნიერო ცენტრებში ფაკულტეტის პროფესურისა და სტუდენტების მობილობის ხელშეწყობა, რაც მიიღწევა ისეთ საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულობით, როგორიცაა ტემპუსის, ერასმუს მუნდუსის, ჰუმერიის, აკადემიური მხარდაჭერის, უნივერსიტეტებთან/დეპარტამენტებთან მხარდაჭერის, გლობალური გრანტების და სხვა; აღნიშნული უნდა განხორციელდეს პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზეც ფაკულტეტის ფინანსური მხარდაჭერით;

5. ფაკულტეტი უნდა გადავიდეს ახალ რეჟიმზე, რაც გულისხმობს ერთობლივი საგანამანათლებლო პროგრამების ამუშავებას პარტნიორ უნივერსიტეტებთან. ეს გაზრდის ჩვენი ფაკულტეტის კონკურენტუნარიანობას, რასაც აუცილებლად მოჰყვება სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდა, მეტი სტუდენტი კი მეტ ფულს შემოიტანს;

6.სტუდენტთა შეფასების სისტემაში პროფესორის როლის ამაღლება და ამავე დროს შეფასების სისტემაში ობიექტურობის მაღალი ხარისხის მიღწევა, რაც ადვილი შესაძლებელია თანამედროვე ტექოლოგიების პირობებში. ეს პროცესი ისე უნდა განხორციელდეს, რომ სტუდენტიც კმაყოფილი იყოს და ლექტორიც. სწორი მენეჯმენტის პირობებში ეს მარტივად მოსაგვარებელი საკითხია;

7.საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში არსებული პროგრამების ანალიზი; საერთაშორისო ევროპულ სტანდარტებს მორგებული ახალი პროგრამების დამუშავება, რაც შემდგომში სტუდენტების მოკლე მობილობას შეუწყობს ხელს პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის, რისი გამოცდილებაც თელავის უნივერსიტეტს ჰქონდა 2007-2010 წლებში მაგალითად, გერმანიის უნივერსიტეტებთან (ჰაილბრონის, ბიბერახის);

8.თვისობრივად უფრო ძლიერი სტუდენტური კონტიგენტის ფორმირება, მათი გადამზადება კომუნიკაციის, ლიდერობის, პროექტების მართვის, ენების შესწავლის ტრენინგებში. აღნიშნული განხორციელდება ფაკულტეტის ბიუჯეტიდან; წარმატებული სტუდენტებისათვის უფასო ენის კურსების ორგანიზება;

9.პროფესორ–მასწავლებელთათვის ინგლისური ენის უფასო კურსების შეთავაზება, მათი გადამზადება ელექტრონული სწავლების გამოყენებისათვის, Moodle- ბაზის შემუშავება და ლექტორ-მასწავლებების საკურსო მასალების განთავსება პლატფორმაზე. მათი მომზადება ელექტრონულ ბიბლიოთეკებში სამუშაოდ, სამოხალისეო პრინციპით მორიგეობა (დღეში რამოდენიმე საათი), ბაზებთან მუშაობაში დახმარება;

10.ფაკულტეტზე სტუდენტთა საკარიერო სამსახურის შექმნა, რომლის მიზანიც სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შრომითი დასაქმება იქნება;

ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაზრდისა და ადამიანური რესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნით მიზანშეწონილად მიმაჩნია ფაკულტეტის ბაზაზე ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსება, რომელიც იქნება იდეების გენერატორი, როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში. ინსტიტუტში, როგორც სათაურიდან ჩანს, იმუშავებს ენის, ლიტერატურისა და ისტორიის მიმართულებები. სასურველია შეძენილ იქნეს გამოკითხვისა და ანალიზის პროგრამა _ Webropol 2.0: Online survey and analysis software _ რომლის რეგულარული გამოყენებაც შეეძლება აკადემიურ პერსონალს საკუთრი კვლევებისათვის. ამ პროგრამული უზრუნველყოფით მათ მიეცემათ საშუალება ინგლისურ ენაზე შეასრულონ კვლევები და უმოკლეს ვადაში დაამუშავონ კვლევითი მონაცემები, რაც საერთაშორისო პუბლიკაციების რიცხვს გაზრდის.

ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებას სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს, რაც ფაკულტეტის მიერ მოზიდული თანხების პირდაპირპროპორციულად განხორციელდება. პირველი სასწავლო კორპუსის მესამე სართულის გარემონტება და ახალი ინვენტარის შეძენა გადაუდებელ საქმედ მიგვაჩნია. აუცილებელია, სასწავლო კურსებში ფართოდ დაინერგოს ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომლის გარეშეც შეუძლებელია სწავლისა და სწავლების მაღალი დონის მიღწევა. ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ფართოდაა დანერგილი შემეცნებითი, სასწავლო, დოკუმენტური, მხატვრული საშუალებების ჩართვა, რაც მიმზიდველს ხდის სასწავლო პროცესს და მასში ჩართულ პირებს მაღალ შედეგებს მიაღწევინებს.

რაც შეეხება ფაკულტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას, რაც მათი საქმიანობის მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთი მთავარი პირობაა, ზემოთ წარმოდგენილი კონცეპციის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, რაშიც თქვენ ეჭვი არ უნდა შეგეპაროთ (ამისი გამოცდილება გვაქვს და ამისი მონაწილენი თქვენც ხართ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი სულ მალე ერთ-ერთ ღონიერ და ეკონომიურად მძლავრ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდება. ეს კი საშუალებას

მოგვცემს შევიმუშავოთ და ავამოქმედოთ სხვადასხვა სოციალური პროგრამები, გავზარდოთ თანამშრომელთა ხელფასები, დავაფინანსოთ პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო მივლინებები, დავნერგოთ პრემირების მიზნობრივი სისტემა, შემოვიტანოთ სახელობითი სტიპენდიები, შეღავათები დავუწესოთ წარჩინებულ სტუდენტებს (ამ საქმეში ბიზნესმენების დახმარების იმედიც გვაქვს, რისი გამოცდილებაც გვაქვს), დავაფინანსოთ თანამშრომელთა და სტუდენტთა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები, ექსკუსიები, სამეცნიერო შრომების გამოქვეყნება, საერთაშორისო Peer review სისტემაზე მორგებულ აკადემიურ კონფერენციებში სარეგისტრაციო გადასახადი. ამ ყველაფრის განხორციელება ახლაც შესაძლებელია, მხოლოდ მოკრძალებულად, არსებული ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.

დასახული ღონისძიებების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სწორი მენეჯმენტის პირობებში, უნივერიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით, როდესაც გადაწყვეტილებები მიიღება აზრთა შეჯერების, ურთიერთპატივისცემის, კონსენსუსის, პიროვნების ღირსების დაცვის გზით. მე ამ პრინციპების ერთგული ვიყავი და ერთგული ვრჩები დღესაც. მზად ვარ ყველასთან დიალოგისთვის ამ პრინციპების საფუძველზე. თქვენი მხარდაჭერის შემთხვევაში ამ კონცეპციაში გადმოცემული ყველა მუხლი განხორციელდება. თქვენი აქტიური მონაწილეობით ის სიახლეებიც დაინერგება, რომელზედაც აქ ყურადღება არ არის გამახვილებული. თითოეულ თქვენგანს ექნება სტაბილურობის განცდა. ამის პირობას გაძლევთ. და ბოლოს, დამატების სახით, მინდა აღვნიშნო: ის, რაც წლების წინ ჩემს კონცეპციაში წარმოვადგინე უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე კენჭისყრის დროს, გაცილებით მეტი გავაკეთეთ, რაც იქ იყო ასახული. გარწმუნებთ, რომ ამჯერადაც ასე იქნება.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი გიორგი გოცირიძე

18.06.2014